"112"-ის ფურცლები...

№2

ოქტომბერი
2013

რედაქტორი დავით ჭანტურია

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი,

ნათია უზუნაშვილი, ჰენრიეტა ელიაური

დიზაინი თეა კუპრაძე

"112" მოსახლეობას ახალ სერვისს სთავაზობს 83.4

საქართველოს შსს "112" EENA-ს წევრი გახდა 83.6

EENA-მ "112" ნომინაციაზე წარადგინა 83.7

სტუმრად "სხვა შუადღე"-ში 83.10

საზოგადოებრივი პროექტი "შუქნიშანი" 83.11

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაცია "112"-ს ეწვია 83.12

საბერძნეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობამ "112" მოინახულა 83.13

TWITTER-მა საგანგებო შეტყობინებების სერვისი დანერგა 83.14

83.14 ფილიპინების საპატრულო პოლიციის ცხელი ხაზი - "117"

83.15 საერთო ევროპული პროექტი - HeERO

83.16 სხვა კუთხით დანახული 112-ელები

83.17 112-ელის გვერდი

83.18-19 ექსკურსიები

83.20 ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე "112"-ში

83.21 "112"-მა ბავშვთა დღე "განთიადის" აღსაზრდელებს მიულოცა

83.22 ისტორიები...

83.24 ეს საინტერესოა...

83.25 ფსიქოლოგის გვერდი

83.26 ფოტოკონკურსი

საქართველოს შსს-ს სსიპ "112" მოსახლეობას სახანძრო უსაფრთხოების ახალ სერვისს სთავაზობს

2013 წლის 22 ოქტომბერს, სასტუმრო "რადისონ ბლუ ივერიაში", გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ "112"-მა ახალი სერვისის - სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პრეზენტაცია წარმოადგინა.

"112" მოსახლეობას EN 54-ით სტანდარტიზირებულ სახანძრო უსაფრთხოების სისტემებს სთავაზობს, რაც გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული დეტექტორებით ობიექტის აღჭურვას ან/და ობიექტზე უკვე მოქმედი სახანძრო სისტემის ჩართვას "112"-ის სერვისში.

აღნიშნული მომსახურების მიზანია მხუთავი აირის (CO) და ხანძრის კერის წარმოქმნისთანავე საფრთხის პრევენცია ფატალური შედეგების დადგომამდე.

სერვისი ეფექტურია, რადგან სისტემა მანამდე რეაგირებს, ვიდრე ადამიანი შეიგრძნობს საფრთხეს. განგაშის სიგნალი ავტომატურად შემოდის "112"-ში და აღნიშნული სამსახური უმოკლეს დროში აგზავნის სახანძრო-სამაშველო, საპატრულო და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟებს, რაც მაქსიმალურად ამცირებს ინციდენტის ლიკვიდაციის ვადას.

სერვისის გაცნობის მიზნით ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურების და კერძო კომპანიების წარმომადგენლები.

საქართველოს შსს "112"-ის წარმომადგენლობა EENA-ს ოფიციალური და სრულუფლებიანი წევრი გახდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს "112"-ის წარმომადგენლობა EENA-ს ოფიციალური და სრულუფლებიანი წევრი 2013 წლის 3 სექტემბერს გახდა.

ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია (EENA) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1999 წელს შეიქმნა ბრიუსელში. ასოციაციის მიზანია, ევროპის მასშტაბით გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის - "112" -ის დანერგვა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების ეფექტური მუშაობა და მათთვის მაღალი ხარისხის გადაუდებელი დახმარების სერვისის განვითარების ხელშეწყობა.

EENA აერთიანებს ევროპის 850 გადაუდებელი დახმარების სფეროს წარმომადგენელს, 9 საერთაშორისო ასოციაციას, ევროპარლამენტის 130 წევრს და 50 მკვლევარს.

112 SOS

european emergency number association

Dear Sir/Madam,

The representatives of LEPL 112 Georgia: Mr. Giorgi Bichashvili, Mr. Apolon Kakabadze, Ms. Tea Gzirishvili, Ms. Irina Beridze, Ms. Ana Kekelidze, Ms. Mariam Tchikaidze, Mr. Giorgi Chubinidze has officially become members of the European Emergency Number Association (EENA)'s network of emergency services.

EENA Europe-wide 112 Emergency Services Staff Network (ESSN) Platform gathers emergency services staff involved directly or indirectly with the European Emergency Number 112 (public authorities, decision makers, managers etc.) with a view to improving the emergency response in accordance with citizens' requirements.

Welcome and thank you for joining us!

Yours sincerely,

Gary Machado
Executive Director
EENA

EENA asbl
Avenue de la Toison d'Or 79
B-1060 Brussels / Belgium
Tel : +32 (0) 2 534 97 89
info@eena.org – www.eena.org

is a non-for-profit association

ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციამ "112" საუკეთესო ოპერატორის ნომინაციაზე წარადგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს "112"-ის დეპარტამენტი ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) მიერ, 2014 წლის "112"-ის დაჯილდოების ცერემონიაზე, საუკეთესო ოპერატორის/დისპეტჩერის კატეგორიაზეა ნომინირებული. საქართველო, როგორც საუკეთესო კანდიდატი აღნიშნული ნომინაციისთვის, პოლონეთთან ერთად, EENA-ს მრჩეველთა საბჭოს მიერ იქნა შერჩეული, რომელშიც ასოციაციის წევრი 44 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას.

"112"-ის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონია 2014 წლის 2 აპრილს, პოლონეთში ქ. ვარშავაში გაიმართება. ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს, დისპეტჩერებსა და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრებს განსაკუთრებული მიღწევებისათვის დააჯილდოვებს.

european emergency number association

112 Awards Ceremony 2014
02 April 2014 – Warsaw, Poland
112 Awards Nominees' Stories

Outstanding Call-Taker Award

Monks intoxicated with wild mushrooms were saved after incredible efforts to locate them in a mountain cave - Ms Maia Shengelia LEPL "112" of the Ministry of Internal Affairs, Georgia

Fireman saves a baby from death through suffocation by giving precise instructions on the phone - Mr. Krzysztof Skibinski, Fire-brigade of the Mys owice Region, Poland

2014 წლის დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველოდან საუკეთესო ოპერატორის ნომინაციაზე მაია შენგელიაა წარდგენილი. ზარის შინაარსი კი შემდეგნაირია:

ღამის მორიგეობის დროს, 00:35 საათზე მაია შენგელიამ მიიღო ზარი. რეკავდა მოძღვარი - მამა ფილტე, რომელიც "112"-ის ოპერატორს აუწყებდა, რომ იმყოფებოდა კლდეში ნაკვეთ სამლოცველოში, კერძოდ კი "აბუხალოს სკიტე"-ში, რომელიც მდებარეობს ქარელის რაიონში. მოძღვარი და მისი ორი მორჩილი ტყის სოკოთი იყვნენ მოწამლულნი და ქონდათ ძლიერი ინტოქსიკაციის ნიშნები (თვალებში გაორება, ჰალუცინაცია, ქაოტური მოძრაობა, სუნთქვის პრობლემები და ა.შ.). განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ერთ-ერთი მათგანი, რომელიც თოკით დაებათ, რათა თვითნებური მოძრაობების შედეგად პიროვნება არ გადაჩეხილიყო კლდიდან.

"112"-ის ოპერატორის მხრიდან მოხდა ინფორმაციის დროული გადაცემა სამივე მომიჯნავე სამსახურთან: სასწრაფოსთან, სამაშველოსთან და საპატრულო პოლიციასთან. მაია შენგელია ასევე დაუკავშირდა ჯანდაცვის სამინისტროს, რომელმაც გამოყო ვერტმფრენი, მაგრამ ძლიერი უამინდობის გამო ვერ მოხერხდა ვერტმფრენით მიახლოება კლდესთან. არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა საპატრიარქოსაც.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ გადაუდებელი დახმარების ბრიგადები მიაღწევ-დნენ დანიშნულების ადგილს, მაია არ წყვეტდა მათთან კავშირს და აძლევდა რჩევებს.

ბერებს სურდათ ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც გონება უკვე დაკარგული ქონდა, დაეტოვებინათ ადგილზე და თვითონ წამოსულიყვნენ ფეხით უახლოესი დახმარების პუნქტამდე. გასავლელი იყო გზა, რომელიც გადიოდა ტყეზე, სადაც შეიძლება და-კარგულიყო სატელეფონო კავშირი და ამასთანავე შესაძლოა გზაში გართულებუ-ლიყო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაც. "112"-ის ოპერატორმა მათ ურჩია, რომ დარჩენილიყვნენ მონასტერში და ადგილზე დალოდებოდნენ დახმარების ბრიგადებს, რომლებთანაც პარალელურად ჰქონოდათ კავშირი და იღებდა ინფორმაციას მოვლენების განვითარების შესახებ.

08:20 საათზე სამაშველო ჯგუფის მიერ მოხდა დაზარალებულების ჩამოყვანა სამან-ქანო გზამდე, სადაც სასწრაფოს ექიმებმა აღმოუჩინეს პირველადი დახმარება და გადაიყვანეს რაიონულ კლინიკაში. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია.

საქმე 112-ის მიერ იმართებოდა 8 საათის განმავლობაში.

"112"-ის დირექტორი გიორგი ბიჭაშვილი და ოპერატორი თეა შამათავა სტუმრად "სხვა შუადღე"-ში

საგზაო უსაფრთხოების საგანმანათლებლო კამპანია "საჭესთან ფხიზლად!" 2011 წელს დაიწყო. ყოველი წლის მაისში კი გაეროს საგზაო უსაფრთხოების გლობალურ კვირეულს უერთდება. (UN Decade of Action for Road Safety 2011-2020 Global Week).

"საჭესთან ფხიზლად" - გაეროს საგზაო უსაფრთხოების კვირეულს საქართველოც შეუერთდა. ეს ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ შემცირდეს შემაშფოთებელი სტატისტიკა. უბედური შემთხვევების კუთხით ახალგაზრდების სიკვდილიანობის ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევი მიზეზი სწორედ ავტოსაგზაო შემთხვევებია.

კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით "სხვა შუადღის" სტუდიაში, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაზარალებული, "112"-ის ოპერატორი თეა შამათავა, დირექტორი გიორგი ბიჭაშვილი, "საქართველოს ალიანსის უსაფრთხო გზებისთვის" აღმასრულებელი დირექტორი მაია ჭობალია და ფსიქოლოგი ანა ბარ-ქაია და საუბრობდნენ.

"112"-ის და ავტორადიოს საზოგადოებრივი პროექტი "შუქნიშანი"

უკვე რამოდენიმე თვეა, რაც "112"-მა და "ავტო რადიომ" ერთობლივი პროექტი, გადაცემა "შუქნიშანი" დაიწყო.

"112"-ი ყოველ საათში ერთხელ ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას "ავტო რადიო"-ს , თბილისის ქუჩებში გზებზე არსებული ვითარების შესახებ.

აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს ტრანსპორტის და მოქალაქეების თავისუფალ გადაადგილებას.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაცია "112"-ს ეწვია

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაცია საგანგებო სიტუაციების მინისტრ, გენერალ-პოლკოვნიკ ქემალედინ გეიდაროვის ხელმძღვანელობით ოფიციალური, ორდღიანი ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდა. დელეგაციის წევრები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ "112"-ს ეწვივნენ, ქოლ-ცენტრი დაათვალიერეს და მისი მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ.

იმავე დღეს გაიმართა შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების მინისტრ ქემალედინ გეიდაროვთან. შეხვედრის დროს ხელი მოეწერა შეთანხმებას - საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების, შეზღუდვის და შემსუბუქების სფეროში თანამშრომლობის შესახებ".

საბერძნეთის რესპუბლიკის საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ "112" მოინახულა

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი, საქართველოში საბერძნეთის რესპუბლიკის საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ, ჯორჯ ფსიახასმა დაათვალიერა.

სტუმარი ადგილზე გაეცნო ცენტრის მუშაობის სპეციფიკას, დადებითად შეაფასა ქვეყანაში გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის არსებობა და საქართველოში "112"-ის განვითარების კუთხით მიღწეული შედეგები.



Twitter-მა საგანგებო შეტყობინებების სერვისი დანერგა

სოციალური მედია **Twitter** სამთავრობო სააგენტოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ახალ სერვისს სთავაზობს, რომელიც გულისხმობს მობილური ტელეფონების საშუალებით მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას ბუნებრივი კატასტროფებისა, თუ სხვა კრიზისული სიტუაციების დროს.

მომხმარებლები რომლებიც დარეგისტირდებიან "Twitter Alerts" პროგრამაში მიიღებენ ე.წ. "კრიტიკულ ინფორმაციას" ტექსტური მესიჯის ან შეტყობინების სახით, როდესაც ორგანიზაცია Twitter-ში დაგზავნის შეტყობინებას, როგორც "Alert".

"Twitter Alerts" წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც მოხმარებლებს საშულებას მისცემს სანდო წყაროებიდან მიიღონ მნიშვნელოვანი და ზუსტი ინფორმაცია საგანგებო სიტუციების და სტიქიური უბედურებების დროს, მაშინ როდესაც კომუნიკაცის სხვა საშუალებები დაზიანებულია, ან არ არის ხელმისაწვდომი", განაცხადა Twitter-ის პროდუქტების განვითარების მენეჯერმა გაბი პენამ კომპანიის ბლოგზე.

60-ზე მეტი ორგანიზაცია უკვე გაწევრინდა ახალ სისტემაში, მათ შორის ნიუ-იორკის, კოლორადოს, ფლორიდის და ლუიზიანის საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტები, ამერიკის წითელი ჯვრის ორგანიზაცია, ფედერალური საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (FEMA), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ტოკიოს პოლიციის დეპარტამენტი და მრავალი სხვა.

ფილიპინების საპატრულო პოლიციის ცხელი ხაზი - "117"

2012 წელს მხოლოდ მანილაში (ფილიპინები) საპატრულო პოლიციის ცხელ ხაზზე - "117" - 2 მილიონზე მეტი ზარი შევიდა, რაც მთელი შემოსული ზარების 96%-ს წარ-

მოადგენს. პროექტი "Patrol 117" 2002 წლიდან ამოქმედდა. მასზე ზედამხედველობას ახორციელებდნენ შსს-ს დეპარტამენტი და მუნიციპალური უწყებები.

"ერთიანი საპატრულო ცხელი ხაზის პროექტმა არ გაამართლა", ნათქვამია სახელმწიფო აუდიტის სახელწიფო კომისიის ანგარიშში. კომისიამ ასევე, განაცხადა, რომ არ შემუშავებულა ცრუ ზარების აღკვეთის არანაირი სამათლებრივი მექანიზმი. ცრუ ზარების პრევენციის მექანიზმის არ არსებობასთან ერთად მოძველებული აპარატურა სიტემის გაუმართავი მუშაობის ერთ-ერთი მიზეზია.

მუნიპალური საზედამხედველო უწყების წარმომადგენელმა მარ როხასმა აღნიშნა, რომ პროექტი "Patrol 117" არაეფექტურია დანაშაულის პრევენციის კუთხით. მან ასევე, განცხადა რომ მანილაში ცხელი ხაზი "117" მოქმედებს, მაშინ როცა ქვეყნის სხვა ქალაქებში მოქმედებს "911" და არსებობს სხვა საგანგებო ნომრებიც. ეს კი ხელს უშლის საგანგებო სამსახურების გამართულ მუშაობას.

პროექტის ავტორის სენ გრეის პოემის განცხადებით, მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა "Patrol 117"-ს გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები. მისი ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში და სახემწიფო, თუ მუნიციპალური საზედამხედველო უწყებების მხარდაჭერით კი შესაძლებელი იქნება ეფექტური საგანგებო რეაგირების სისტემის აწყობა.



საერთო ევროპული პროექტი HeERO-ს ვებგვერდი უკვე 15 ენაზეა ხელმისაწვდომი

2013 წლის 25 სექტემბრიდან HeERO (ჰარმონიზიებული ელექტრონული ზარის ევროპული პილოტი) პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღება ყველა წევრი ქვეყნის ენაზე, მათ შორის, ინგლისურადაც არის შესაძლებელი. ვებგვერდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი განმარტავს პროექტის ხედვას და მიზნებს, ასევე ელეტრონული ზარის (eCall) მუშაობის მექანიზმს. ინფორმაცია ღიაა ევროპის ქვეყნების ყველა მოქალაქისათვის. აღნიშნული სიახლე ხაზს უსვამს პროექტის მნიშვნელობას, რადგან ათობით ენაზე მხოლოდ პროექტების მცირე ნაწილის თარგმნაა შესაძლებელი.

ჟურნალი "112-ის დროით" აგრძელებს
თანამშრომელთა სხვა კუთხით გაცნობას.

მამუკა გორგილაძე

შსს სსიპ "112"-ის ზარის მიმღები

მართალია, მისი ნიჭიერების შესახებ მოსახლეობამ პროექტ "ჯეოსტარის" მეშვეობით 2009 წელს შეიტყო, მაგრამ, ალბათ ბევრმა ჩვენთაგანმა ამაზე ყურადღება მაშინ გაამახვილა, როცა მამუკა "112"-ის გუნდს შემოუერთდა.

"5 წლის ასაკიდან ვმღეროდი ანსამბლში "ჯადოსნური ხმები", მანანა მერაბიშვილის ხელმძღვანელობით. 2009 წელს გადავწყვიტე პროექტ "ჯეოსტარში" მიმეღო მონაწილეობა, სადაც მეექვსე ტურამდე (ხალხური ტური) გავედი.

"ჯეოსტარში" მონაწიელობის დროს, სრულიად შემთხვევით, მომღერალმა გიორგი უშიკიშვილმა ანსამბლ "ლაშარელაში" სიმღერა შემომთავაზა, სადაც პირველ ხმას ვმღეროდი. სამწუხაროდ, 2012 წელს ანსამბლი "ლაშარელა" დაიშალა.

ჩემს პროფესიულ განვითარებაში დიდი როლი ითამაშა გია ნაცვლიშვილმა, "ოთხი გიას" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელთან ერთადაც ვმღეროდი კვარტეტ "თაობაში".

ამჟამად ვმღერი ანსამბლში "ჰანგები", დათო არჩვაძის ხელმძღვანელობით, სადაც ქალაქურ და ხალხურ სიმღერებს ვასრულებ. სამომავლოდ კი ვაპირებ, სიმღერას პროფესიულ დონეზე გავყვე კვარტეტ "ჰანგებთან" ერთად.

თამარ ტატუაშვილი

შსს სსიპ-"112"-ის ზარის მიმღები

"ყოველთვის მაინტერესებდა მოდური ტენდენციები და დიზაინერული ნიჭიც მქონდა. ბავშვობიდან მიყვარდა და მეხერხებოდა კერვა, ხატვა და ქარგვა. სულ პატარა ვიყავი, დაახლოებით 8 წლის, როდესაც თოჯინებს ვუკერავდი ტანსაცმელს. 12 წლიდან კი დავიწყე სამკაულებზე და აქსესუარებზე მუშაობა. ვმუშაობ ფერადი ქვებით, მძივებით და სხვადასხვა მასალით. თითოეულ ნივთს აქვს მრავალმხრივი მნიშვნელობა, სამკაული გათვლილია ყველა ასაკის ქალბატონზე, არის ექსკლუზიური და არ მეორდება".

ექსკურსია რკონში

როგორც დაგპირდით, ვაგრძელებთ გასვლით ღონისძიებებს საქართველოს მასშ-ტაბით. ამჯერად ეკატერინე საათაშვილის ცვლის მოგზაურობაზე მოგითხრობთ. ოპერატორებმა ცივი ზამთრის დადგომამდე არ დაკარგეს დრო და სექტემბერ-ოქ-ტომბერში კასპის რაიონის სოფელ ჩაჩუბეთის შემადგენლობაში შემავალ 3 არქიტექ-ტურულ ძეგლს ეწვივნენ. ოპერატორ/დისპეტჩერებმა მოინახულეს იოანე ნათლის-მცემლის (XIII ს.) და ღვთისმშობლის (XII ს.) ტაძრები და თამარის უბურჯო ხიდი, რომე-ლიც XIII საუკუნით თარიღდება.

რკონიდან მომავლები კი მდინარე თეძმის ხეობის ნაპირზე, საუკუნოვანი კაკლის ჩრდილქვეშ მოთავსდნენ და საღამო სიმღერითა და სპორტული თამაშებით დაასრულეს.

ექსკურსია დავით გარეჯში

ოქტომბერში ოპერაიული მართვის სამსახურის თანამშრომლებმა გეზი საგარეჯოს რაიონისკენ, კერძოდ დავით გარეჯისკენ აიღეს. მათ წმინდა მამა დავით გარაჯელის მოქმედი ეკლესია მოილოცეს. ასევე ესტუმრნენ უდაბნოში მდებარე გარეჯელი ბერების ლავრებს, რომლებიც მთავარი კომპლექსიდან დაახლოებით 3 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს.

მსგავსი გასვლითი ღონისძიებები განტვირთვისთვის, სტრესული გარემოს კომპენსაციისთვის, ჩვენი ქვეყნის ღირშესანიშნაობების უკეთ გაცნობისთვის და თანამშრომლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა.

"112" -ის თანამშრომლები კიდევ განაგრძობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობას, რომლის მოთხრობასაც სამომავლო სტატიებში გავაგრძელებთ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე "112"-ში

1 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს "112"-ის დეპარტამენტმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა.

"112"-ის ეზოში თანამშრომელთა შვილებისა და მოწვეული სტუმრებისათვის სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა.

სტუმრად მისულ ბავშვებს ზღაპრის გმირები გაუმასპინძლდნენ. საბავშვო პერსონაჟებმა "112"-ის ეზო რამდენიმე საათით ჯადოსნურ სცენად აქციეს. პატარები აღმოჩნდნენ ულამაზეს სამყაროში, სადაც თვითონ იყვნენ საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული თავგადასავლების მონაწილეები.

ბავშვებმა "112"-ის ტერიტორია ფერადი ცარცებით მოხატეს, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონკურსში, გახალისდნენ სახის მოხატვით და დაათვალიერეს სახანძრო-სამაშველო და საპატრულო მანქანები.

"112"-მა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრ "განთიადის" აღსაზრდელებს მიულოცა

"112"-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ბოლნისის საგანმანათლებო სარეაბილიტაციო ცენტრ ,,განთიადის" ბავშვებს მიულოცა.

"112"-მა ერთი ლამაზი დღე აჩუქა ბავშვებს და კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრირება საზოგადოებაში.

ცენტრის მიზანია, ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია. აქვე არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რომელთათვისაც სწავლება თერაპიული პროცედურებით ხორციელდება.

შეხვედრის დასასრულს პატარებმა "112"-ის დირექტორს საკუთარი ხელით გაკეთებული ნივთები უსახსოვრეს.

პატარა იღბლიანი კნუტი კალიფორნიის შტატში, ფრესნოში ხანძარს საოცრად გადაურჩა. მეხანძრე კალანიკმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გამოიყვანა კნუტი ცეცხლმოდებული სახლიდან და ჟანგბადი მიაწოდა, რათა ცხოველს ნორმალურად შეძლებოდა სუნთქვა.

კალანიკმა ეს აპარატი თვითონვე შექმნა და საგანგებო სიტუაციების სამსახურს შესთავაზა მისი მოდელის დახვეწა და მოქმედებაში გაშვება.

ავსტრალიაში ხანძარი მძვინვარებდა, გადაიწვა და გაუკაცრიელდა ტყეები. ხანძარმა მრავალი ადამიანი იმსხვერპლა, ალბათ ცხოველებიც... კოალა სემს გაუმართლა...

მეხანძრე დევიდ ტრიმ (David Tree) კოალა სიკვდილისგან იხსნა. ტრის თქმით მაშინ, როდესაც მეხანძრე-

ები გადამწვარ ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ დაინახეს კოალა, რომელიც გაჭირვებით მოძრაობდა - ალბათ ფეხები ჰქონდა დამწვარი. როდესაც ადამიანები დაინახა, დაჯდა და მრავლისმეტყველი თვალებით შეხედა მათ. ტრიმ წყლიანი ბოთლი გახსნა და კოალას დაალევინა.

შემდგომში ტრიმ ჟურნალისტებს განუმარტა, რომ ადრე იგი კოალებთან მუშაობდა და მათ ხასიათსაც კარგად იცნობდა, ამიტომაც კარგად ხვდებოდა რაზეც მიდიოდა, როდესაც ცხოველის გადარჩენა გადაწყვიტა. ტრიმ მალევე გადასცა სემი ზოოლოგებს. კოალას ანტიბიოტიკებით უმკურნალეს და ვეტერინარების თქმით იგი თავს კარგად გრძნობს ცხოველთა თავშესაფარში. სემი მდედრობითი სქესის აღმოჩნდა, თუმცა მას მაინც სემს ეძახიან და თავშესაფარში მყოფ მამრს უკვე მოეწონა კიდეც :)

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანძრის შედეგად ადამიანის ოთხფეხა მეგობარი დაზარალდა. ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა ძაღლის ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამოყვანა შეძლეს. თუმცა, ცხოველი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეხანძრეებმა ძალები არ დაზოგეს. ერთ-ერთმა მათგანმა დაზარალებულს ხელოვნური სუნთქვაც კი ჩაუტარა, შედეგად შინაური ცხოველი გადარჩა და იგი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად შესაბამის დაწესებულებაში გადაიყვანეს.

112

აშშ-ს პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი მუშაობდა მოხალისე მეხანძრედ ალექსანდრიაში (ვირჯინიის შტატი). ასევე იყო ვეტერანი მეხაძრეების კომპანიის წევრი.

მან შეიძინა და საჩუქრად გადასცა ქალაქს ერთ-ერთი პირველი სახანძრო ეკიპაჟი.

112

ცნობილი რუსი რომანისტი და დრამატურგი მიხეილ ბულგაკოვი, რუსეთის სამოქალაქო ომის დროს გახლდათ სამხედრო ექიმი, ხოლო 1919 წელს მუშაობდა ექიმად "წითელ ჯვარში".



112

ცნობილი ამერიკელი მწერალი ჯეკ ლონდონი (ჯონ გრიფიტ ჩეინი) ერთი პირობა მეთევზეთა პატრულის ხელმძღვანელი გახლდათ. ეს თავგადასავლებით და საფრთხით სავსე პერიოდი მან დეტალურად აღწერა მოთხრობების კრებულში "Tales of the Fish Patrol" და მოთხრობებში "'Frisco Kid's' Story" და "Frisco Kid Came Back" .

ადამიანებს, მითუმეტეს 21-ე საუკუნეში პრობლემები აქვთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. ზოგს უჭირს სხვებთან კონტაქტი, ზოგიც ვერ ახერხებს იმის მიღწევას რაც ძალიან უნდა... თუმცა ყველაფერი იწყება ურთიერთობით და სწორედ ამის გამოსწორებას უნდა ვცდილობდეთ.

5 საუკეთესო რჩევა, რომელიც შეიძლება გაითვალისწინოთ:

1. განსჯის ნაცვლად შევეცადოთ გავუგოთ ადამიანებს, შევეცადოთ მივხვდეთ, თუ რატომ იქცევიან სწორედ ასე და არა სხვაგვარად (ასეთი ცდა გაცილებით სასარგებლოცაა და საინტერესოც ვიდრე კრიტიკა, ის ადამიანებს უვითარებს მოთმინებას, თანადგომისა და კეთილმოსურნეობის გრძნობას) დაიმახსოვრეთ "ყველაფრის გაგება, ყველაფრის შენდობას ნიშნავს".

2. გულწრფელად დააფასეთ და გულუხვად შეაქეთ ადამიანი. დაფასებას და ქებას ადამიანი მთელი სიცოცხლე დაიმახსოვრებს, თქვენ დაივიწყებთ ის კი კვლავაც მოიგონებს (შეაქეთ იმ შემთხვევაში თუ მას რაიმე კარგად გამოუვა, თუნდაც სულ უმნიშვნელო)

3. გულწრფელი ინტერესი გამოიჩინეთ სხვათა მიმართ (მაგალითად კალენდარზე აღნიშნეთ ყველა იმ ადამიანის დაბადების დღე, რომლებთანაც საუკეთესო თუ არა კარგი ურთიერთობა გაქვთ).

4. კიდევ ერთი იოლი ხერხი, თუ როგორ უნდა ვიქცეთ კარგ მოსაუბრედ - ყურადღებით უსმინეთ, მიეცით თქვენს მოსაუბრეს საშუალება საკუთარ თავზე ისაუბროს (ადამიანებს არ უყვართ როდესაც არ უსმენენ... მათ კარგ მოსაუბრედ სწორედ რომ კარგი მსმენელი მიაჩნიათ)აცადეთ მათ გესაუბრონ თავიანთ ცხოვრებაზე, არ შეაწყვეტინოთ, შეიძლება ცოტა რთულია უსმინო ვიღაცის გაუთავებელ წუწუნს თუმცა, პირადი გამოცდილებიდან ვამბობთ, სწორედ ამ ხერხით ბევრი ადამიანისთვის ვქცეულვართ კარგ მოსაუბრედ.

5. გულწფელად შთააგონეთ თქვენს მოსაუბრეს პიროვნების მნიშვნელობა.



ფოტოების ავტორი
დიანა კეკელაშვილი
შსს სსიპ-“112“-ის
ზარის მიმღები

112
FIRE SERVICE
112
სახანძრო

პოლიცია

შსს სსიპ - 112

ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

ვებ-გვერდი WWW.112.GE
ელ-ფოსტა 112NEWS@112.GE